

საქართველოს კანონი

საქართველოს კანონში – “საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ” ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1.

საქართველოს კანონში “საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ” (საქართველოს პარლამენტის უწყებანი, №44, 11/11/1997) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-15 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“1. საერთაშორისო ხელშეკრულებას, რომლის სავალდებულოდ აღიარებაზე თანხმობას გამოხატავს საქართველოს პარლამენტი, საქართველოს პარლამენტს რატიფიცირებისთვის (ან მასთან შეერთებისთვის) წარუდგენს საქართველოს მთავრობა, ხოლო საქართველოს კონსტიტუციის 65-ე მუხლის მე-2 პუნქტის “ა-გ” ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, აგრეთვე იმ შემთხვევებში, როდესაც ხელშეკრულება დადებულია საქართველოს პრეზიდენტის მიერ, - საქართველოს პრეზიდენტი, რაც საჭიროებს პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციას.

2. მე-15 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“4. საქართველოს მთავრობა ან საქართველოს კონსტიტუციის 65-ე მუხლის 1¹ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში – საქართველოს პრეზიდენტი რატიფიცირებისათვის (ან შეერთებისათვის) წარდგენილ საერთაშორისო ხელშეკრულებასთან ერთად, საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს პარლამენტს წარუდგენს კანონპროექტს საქართველოს შესაბამის საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.”

3. მე-17 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“1. საქართველოს მთავრობის ან საქართველოს კონსტიტუციის 65-ე მუხლის 1¹ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქართველოს პრეზიდენტის მიერ რატიფიცირებისათვის (ან მასთან შეერთებისათვის) წარდგენილ საერთაშორისო ხელშეკრულებას განიხილავს საქართველოს პარლამენტი და სრული შემადგენლობის უმრავლესობით იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას დადგენილების სახით.”

მუხლი 2.

ეს კანონი ამოქმედდეს 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონში - “საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ” ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის მიღების მიზეზია 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონის „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ“ მიღება.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონით გათვალისწინებული კონსტიტუციის ახალი რედაქციის 65-ე მუხლის 1¹ პუნქტთან საქართველოს კანონის „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების შესახებ“ შესაბამისობაში მოყვანა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

საქართველოს კონსტიტუციის 65-ე მუხლის 1¹ პუნქტთან საქართველოს კანონის – “ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ” შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, შედის ცვლილებები და დამატებები კანონის 229მე-15 მუხლის პირველ და მე-4 პუნქტებში და მე-17 მუხლის პირველ პუნქტში, რომელთა მიხედვითაც საქართველოს მთავრობას ენიჭება უფლებამოსილება მიმართოს საქართველოს პარლამენტს საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიცირების, დენონსირებისა და გაუქმების შესახებ, ხოლო კონსტიტუციით გათვალისწინებულ შემთხვევებში ხსენებული უფლებამოსილება შეიძლება განახორციელოს საქართველოს პრეზიდენტმა.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების ან ადგილობრივი ბიუჯეტებიდან დამატებითი ხარჯების გაწევას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების ან ადგილობრივი ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების ან ადგილობრივი ბიუჯეტების ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება
წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)
კანონპროექტი არ ადგენს გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის გადასახდელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს.

დ) ინფორმაცია კანონპროექტის ავტორისა და ინიციატორის შესახებ

დ.ა) კანონპროექტის ავტორი
კანონპროექტის ავტორია ა(ა)იპ – “საქართველოს ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტთა ასოციაცია”

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი
კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის შესაბამისი კომიტეტი.